თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 26 სექტემბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.შალვა ჭანკვეტაძე, 2. ლაშა გურგენიძე, 3.ნინო მახათაძე, 4.ელისო მურადაშვილი, 5.დავით გოგბერაშვილი, 6.ბადრი ბუცხრიკიძე, 7.დავით ცხადაძე, 8.ტარიელ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1 .იზა მაგრაქველიძე 2. კობა კირკიტაძე, 3. კახა ბუცხრიკიძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებიული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №-29.292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282326894 წერილი, 25.09. 2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №-29. 29230453 განკარგულებაში ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამაში" ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282326893 წერილი, 25.09. 2023 წ).

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''განკარგულების პროექტი. აღნიშნული ითვალისწინებს ხანძრისა და სტიქიის შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას და მცირეფართიანი სახლების აშენებას.პროგრამის ბიუჯეტია 497 000 ლარი დაემატა 15 000 და გახდება 412 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, ელისო მურადაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282326894 წერილი, 25.09. 2023 წ).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.პროგრამის ამოცანაა,კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა - პროგრამის ბიუჯეტიდან სულ გახარჯულია 9440 (ცხრაათასოთხასორმოცი) ლარი ხოლო დარჩენილია 560 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით მიზაშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 5000 ლარით .

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ, ბადრი ბუცხრიკიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის Nგ- 29. 29230453 განკარგულებაში ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამაში" ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე
შალვა ჭანკვეტაძე